ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 7

22 დეკემბერი 2017 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა ტრანსპორტის საკითხთა კომისისთან ერთად.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქვა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი- მერაბ მამულაშვილი

ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური- გელა ჩივიაშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კოისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე; რამინა ბერაძე; თემურ გორგაძე; ალექსანდრე ხუჯაძე,დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველი სამ საკითხს განიხილავს ორივე კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას გააგრძელებს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

№12-03173531-03 19.12.2017წ

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(№12/031735351-03; 19,12,2017წ)

3.საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(№12/031735350-03; 19,12,2017წ)

4, ქ.თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-031735423-03 20.12.2017წ

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში,ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე 540,31 კვმ ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-031735423-03 20.12.2017წ

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვის მიკუთვნებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

№15-031735526-03 21.12.2017წ

დღის წესრიგიდამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

ირაკლი ზარქუამ მოკლედ ისაუბრა ილია ელოშვილის განათლებისა და სამუშაო გამცდილების შესახებ და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი- მერაბ მამულაშვილი

მომხსენებლის განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული მოსახლეობის შეტყობინებებიდან გამომდინარე, სადაც ითხოვდნენ ავტობუსის მარშრუტებში ცვლილებებს, ცვლილება შედის სამარშრუტო ხაზებში, რამოდენიმე ცვლილება განპირობებულია პეკინის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებებიდან გამომდინარე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: .საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი- მერაბ მამულაშვილი

მერაბ მამულაშვილის განმარტებით, სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განახორციელდა დედაქალაქში ამჟამად მოქმედ მ3 კატეგორიის მარშრუტებზე ჩართული „ბოგდანი"ს მარკის ავტობუსების (დიდი და საშუალო ტევადობის) ჩანაცვლება „MAN"-ის მარკის შეკუმშულ ბუნებრივ აირზე მომუშავე დაბალ იატაკიანი საქალაქო ავტობუსებით, სადაც გამოთავისუფლებული მოძრავი შემადგენლობა გადანაწილდა მოქმედ მარშრურებზე. ამავე დროს მერიის ცხელ ხაზზე დაფიქსირდა არაერთი ზარი, რომლითაც მოსახლეობა ითხოვს ავტობუსის (მ3კატეგორიის) მარშრუტებში ცვლილებების შეტანას, რაც გათვალისწინებულია წარმოდგენილ ცვლილებების პროექტში.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა რეკოენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ.თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკითხის შესახებ ისაუბრა ირაკლი თავართქილაძემ. მისი განმარტებით, ჩუღურეთის გამგეობის შუამდგომლობით 45 მოქალაქეს გადაეცემათ ფართები აჭარის ქუჩა №10-ში. აღნიშნულ ფართებს ისინი ფლობენ დიდი ხნის განმავლობაში. საპრივატიზებო საფასურად განსაზღვრულია 1(ერთი)ლარი.

საკიოხის განხილვა გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში,ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე 540,31 კვმ ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დეევნილთა საოჯახო ცენტრი 'დიოსკურიას" დირექტორმა ნანა გერგედავამ მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ილორის ქუჩა №14-ში , შენობა-ნაგებობა №1-ში პირველ სართულზე არსებული 540,31 კვმ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემა 2 წლის ვადით. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ქონება პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით,უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით მათ გადაცემული ქონდათ და ხელშეკრულების ვადა დამთავრდა .

საკითხთან დაკავშირებით, კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში,ილორის ქუჩა №14-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.035.010) შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე 540,31 კვმ ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დეევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკითხის განხილვა უკეთ შესწავლის მიზნით გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის. (მომხრე- 8)

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისთვის მიკუთვნებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ.მისი განმარტებით ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ბენეფიციართა მომართვიანობიდან გამომდინარე, სოციალური დაცვის პრიორიტეტში ითხოვს ცვლილებებს. კერძოდ „სამედიცინო და სხვა სოციაური დახმარების ღონისძიებების" და „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის" პროგრამების გაზრდას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვს, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის" (06 01 06) ქვეპროგრამის ასიგნებების

გაზრდას 43 000 ლარით და „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“(06 02 09) ქვეპროგრამის ასიგნებების გაზრდას 464 000 ლარით, „კომუნალური სუბსიდირების“ (06 02 01), „სერვისცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადების(ინიციალიზაციის)“(06 02 06 04); სოიალურად დაუცველი 18 წლამდე შსმ პირების დახმარების“ (06 02 22) და „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების„ (06 02 25) ქვეპროგრამებში არსებული თავისუფალი რესურსების ხარჯზე, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუსქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა